მთიანი ყარაბაღის ომის შედეგად გამოწვეული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ნ.აბგარიანის, ა.აილისლის და გ.მოვლუდის შემოქმედებაში

მზევინარი ჯანაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სადოქტორო
პროგრამა - თანამედროვე ქართული ლიტერატურა
და ლიტრატურათმცოდნეობა დოქტორანტი.
საქართველო, 0186 თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას ქ. # 61
+995 555 42 10 89. janashvilimzevinri@gmail.com
ORCID iD: 0009-0001-2340-2980

აბსტრაქტი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არის ტერიტორიული და ეთნიკური დავა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, რომელიც ძირითადად მთიანი ყარაბაღის რეგიონის ირგვლივ ვითარდება. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სათავეს იღებს ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში და გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში რის შედეგადაც სომხურმა მხარემ კონტროლი დაამყარა მთიან ყარაბაღსა და მის მიმდებარე შვიდ რეგიონზე.

2020 წელს აზერბაიჯანმა 44-დღიანი ომის შემდეგ, დაიბრუნა მთელი რიგი ტერიტორიები, მათ შორის შუშა, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქალაქია, ხოლო 2020 წლის ნოემბერში აზერბაიჯანსა და სოხეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის

შეთანხმება დაიდო რუსეთის შუამავლობით. შეთანხმების ფარგლებში, სომხეთმა დატოვა ზოგიერთი ოკუპირებული ტერიტორია, ხოლო მთიანი ყარაბაღის ძირითადი ნაწილი აზერბაიჯანის ხელში დარჩა, თუმცა რუსი სამშვიდობო ძალები რეგიონში განლაგდნენ. კონფლიქტმა გამოიწვია მასობრივი გადაადგილება, მსხვერპლი და ტრავმა ორივე მხარეს და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ორივე ქვეყნის სომხეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოებებზე, რომელიც ნათლად აისახა **აქრამ აილისლის რომანი - „ქვის სიზმრები“, გიუნელ მოვლუდის რომანი - „ბანაკი" და ნარინე აბგარიანის მხატვრულ კრებული- „განაგრძე ცხოვრება“** სადაც გააზრებულად საუბრობენ ომზე, ომის შემდგომ პერიოდზე, საკუთარი მიწიდან, სახლიდან, შეჩვეული ყოფიდან გამოგდებულ ყველანაირი საკუთრების დამკარგავი ადამიანების ბედზე.

სამივე ავტორმა, თავიანთ ნაწარმოებებში - მჭრელი თვალით, მოწამლული ენით, მახვილი გონებით გამოიყენეს მხატვრული აზროვნების ყველაზე გამორჩეული და რთული სახეები მეტაფორები[90] და სიმბოლოები[91]. ნაწარმოებში, ავტორებმა მეტაფორულად, ნათლად წარმოაჩინეს - **მთიანი ყარაბაღის ომის შედეგად გამოწვეული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი“,** აგრეთვე ავტორები სიმბოლური ენის მეშვეობით აღწერენ ომის შემდგომი პერიოდის ისტორიულ - კულტურულ კონტექსტის ურთიერთკავშირს და მათ შერწყმას მატერიალურ გარემოსთან, სადაც **დაქცეულ შენობებს, განადგურებულ ბაღებს, დარბეულ სახლებს -** ანაცვლებენ სიმბოლოები და წარმოჩენილია ადამიანების სიცოცხლის-სიკვდილის სულიერი განცდების სარკისებური ანარეკლი. ნაწარმოების პერსონაჟები ცდილობენ ახალ რეალობაში გზის გაკვალვას სადაც ხშირ შემთხვევაში სიცოცხლისა და სიკვდილის საზღვრები ხშირად ბუნდოვანია.

---

[90] სიტყვა ან გამოთქმა, რომელსაც გადატანითი მნიშვნელობა აქვს და ემყარება მსგავსებას, შედარებას, ანალოგიას.

[91] ჩვეულებრივ სიმბოლოს ნიშანს უწოდებენ. ამ ტერმინს ორგვარი პირველადი მნიშვნელობა აქვს: სიმბოლო არის ნიშანი და ამავე დროს სიმბოლური სიტყვა–სიტყვით ნიშნავს შეერთებულს („სიმბოლო” – ბერძნ. ვაერთებ)

თითოეული მწერალი სხვადასხვა თვალთახედვიდან გვთავაზობს ადამიანური ტრაგიზმის, მორალურ და სულიერ ტკივილს, თავიანთი თვალით დანახულს და განცდილს. **აქრამ აილისლის „ქვის სიზმრები“,** [92] **გიუნელ მოვლუდის „ბანაკი“** [93] **და ნარინე აბგარიანის „განაგრძე ცხოვრება“** [94] არის ნაწარმოებები, სადაც მწერლებმა შეძლეს უმძიმეს ადამიანურ მანკიერებებზე ამაღლებით საკუთარ თავში მტრობისა და სისასტიკის დამარცხება, საპირისპირო მხარის ტკივილის, ტანჯვის გასიგრძეგანება და გათავისება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ავტორების მიერ გამოყენებულ ლიტერატურულ ხერხებს, სიმბოლოებს და მეტაფორებს, რომლებიც გამოხატავენ ომის შემდგომი სამყაროს კატასტროფულ ჭეშმარიტებას. მწერლები გადმოგვცემენ თავიანთი თვალით დანახულს და განცდილს. მათი სურვილია მთელი სულისკვეთებით გადმოგვცენ ის ტკივილი და ტრავმა, რომლებიც ცვლიან ადამიანის ცხოვრებას. სამივე ავტორი საუბრობს იძულებით გადაადგილებულთა ეკონომიკურ სირთულეებსა და ფსიქოლოგიური ტრავმის გამოცდილებაზე [95] და ხშირად ეხებიან კონფლიქტისა და ომის თემებს [96](Alexander, 2004:5).

საკვანძო სიტყვები: მთიანი ყარაბაღის ომი; ომის შემდგომი სამყარო; მეტაფორები; სიმბოლოები, და სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

შესავალი

ნაშრომში განხილული ნაწარმოებები დაფუძნებულია სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის უახლესი ტრაგიკული ისტ-

---

[92] https://www.armin.am/images/menus/1400/AkramAilisli-Stone-dreams.pdf

[93] https://shaqrobabua.ge/products/3027

[94] https://www.livelib.ru/review/1049491-dalshe-zhit-sbornik-narine-abgaryan

[95] Айерман Р. Социальная теория и травма / Р. Айерман // Социологическое обозрение. Т. 12. 2013. № 1. С. 125.

[96] Казарян К., Исаев Г. Армяне и азербайджанцы залечивают психологические раны после войны.

ორიის რეცეფციაზე - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი 1988-1994 წწ. ეს მოვლენები ტრავმული იყო როგორც ორი ქვეყნისთვის (სომხეთი და აზერბაიჯანი), ისე პირადად თითოეული მწერლისთვის, რამაც, ცხადია, გამოიწვია მიმართვა ეთნიკური ურთიერთობების რთულ პერიოდზე. კონფლიქტი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გრძელდება, ღრმად აისახა რეგიონის მოსახლეობის ცხოვრებაზე, კულტურასა და ლიტერატურაზე.

სამივე ავტორის შემოქმედებაში **„მთიანი ყარაბაღის ომის შედეგად გამოწვეული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი“** ასოცირდება ომის შედეგად მიყენებულ - **ტრავმასთან , დაუცველობასთან, საფრთხესთან, ჭრილობასთან, ნაიარევთან, ტკივილთან და მარტოობის განცდასთან დანაკარგთან**“. ეს სიმბოლურად მიანიშნებს, რომ მიუხედავად ტკივილის წარუშლელობასა, სიცოცხლე მაინც გრძელდება.

მაგალითად, ნარინე აბგარიანის მოთხრობის დომინანტური განწყობა, ისევე როგორც დის ნახატი, განცდილი ტრავმისა და მასში ჩაძირვის შედეგია. გამოსახული ნისლი უცნობის სიმბოლოა, რომელიც წარმოშობს ახლომახლო მომხდარის გაუგებრობას და, შესაბამისად, საფრთხის, დაუცველობის, მელანქოლიისა და მარტოობის განცდას. კონცეპტუალურად ნისლები ამახინჯებს სივრცეს და ცვლის მის არსს, რაც ასევე იწვევს დაცულობის შეგრძნების შეუძლებლობას და თავისუფლად წინსვლის უნარს.

სამივე ავტორის ნაწარმოების სათაურებს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვთ: ისინი ხაზს უსვამენ მთავარ დეტალს-სიმბოლოს, მთავარ პრობლემას, იდეას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. „მერელოტები“ (სომხეთში-საფლავების მონახულების დღე) მორალური აუცილებლობაა წინაპრებისა და მოულოდნელად გარდაცვლილთა პატივსაცემად, ლიტურგია, როგორც დანაკარგის ტკივილის დასაძლევად: „... მალე დაიწყება მიცვალებულთა მსახურება. მკვდრებს ის რათქმა უნდა აღარ სჭირდება, ცოხლებს უფრო სჭირდება“. ეს სათაური აღრმ-

ავებს მთელი ტექსტის აღქმას, აკავშირებს თაობებს შორის კავშირს და ადრეული სიკვდილის არაბუნებრივობას, რომელსაც ომი იწვევს. „ხალიჩა“ არის თაობათა კავშირი, ოჯახური კავშირები და მათი ხსოვნა: „კრნატანც ლუსინე ხალიჩაზე დაწვა და მისი მძიმე კიდე დაიფარა. ხალიჩა ისე ჩაეხუტა, როგორც ბავშვობაში დედა ეხუტებოდა.

თითოეული ავტორი ომს სხვადასხვა პერსპექტივიდან აღწერს, თუმცა სამივე ავტორს გააჩნიათ საერთო თემა, რომელიც ეხება ომის შედეგად გამოწვეულ ტრავმებს. მათი აზრით ომი არის წარსულისა და აწმყოს დაკარგული თვითმყოფადობის დაპირისპირება, სდაც თავს იჩენს მარადიული პრობლემები, რომლებიც ერთმანეთს არ ჰყოფს, მაგრამ წვრილი ძაფი აერთიანებს სხვადასხვა ადამიანის ბედს.

სამივე ავტორის ნაწარმოები **„ეძღვნება თანამემამულეების ხსოვნას, რომლებმაც დატოვეს ომით გამოწვეული უგლოვი ტკივილი“.** ომით გამოწვეული ტკივილი და მისი შედეგები არა მხოლოდ ისტორიული მოვლენაა, არამედ თითოეული ინდივიდის განცდების ფუნდამენტალური ნაწილია, რომელიც მათ სულში ღრმადაა ამოტვიფრული და იქცა მათი ნაწამოების მთავარ სიმბოლოდ.

კონფლიქტმა გამოიწვია:

- იძულებითი მასობრივი გადასახლება;
- ეთნიკური დაძაბულობა და კონფლიქტები;
- ფიზიკური, გონებრივი, ფსიქოლოგიური ტრავმა;
- გენოციდი, ომი, რევოლუცია, ოკუპაცია, ეკონომიკური კრიზისი;
- ინცესტი და ძალადობა;

ნაშრომის კვლევის ინტერესს წრმოადგენს: მხატვრული ლიტერტურული ხერხების - მეტაფორების, სიმბოლოების, ნარატიული სტრუქტურების მეშვეობით **„მთიანი ყარაბაღის ომის**

შედეგად გამოწვეული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის“ - განხილვა, ლიტერატურული ანალიზის წარმოჩენა და მომავლის პერსპექტივების ძიება.

კვლევის მიზანია: მხატვრული ხერხებისა და სიმბოლოების გამოყენებით გაანალიზოს ომის შედეგად ტრავმირებული ადამიანების ბედი, წარმოაჩინოს მათი მნიშვნელობა სხვადასხვა კულტურულ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ კონტექსტში.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში ტრავმის პრობლემის კვლევა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეს თემა განსაკუთრებული ინტერესის საგანია, რადგან ტრავმა, როგორც ერთ-ერთი მთავარი სიუჟეტური და თემატური ელემენტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის შინაგანი სამყაროსა და გამოცდილების გააზრებაში. ლიტერატურაში ტრავმა ხშირად განიხილება როგორც **„სიცოცხლისა და სიკვდილის“** სიმბოლური გამოხატულება, რომელიც წარმოაჩენს ომით, ძალადობით ან სხვა ტრაგიკული მოვლენებით გამოწვეულ სულიერ ტკივილსა და შინაგან ნგრევას.

ტრავმის ლიტერატურულ გააზრებას აქვს უნარი, ხელი შეუწყოს მკითხველის ემპათიის გაღვივებას და მას გარკვეულწილად შეუქმნას წარმოდგენა იმ საშინელებებზე, რაც შეიძლება კონკრეტულ ინდივიდს ან საზოგადოებას გადახდეს. შესაბამისად, ტრავმის კვლევა არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ კულტურული და სოციალური მნიშვნელობითაც მნიშვნელოვანია, რაც ნაშრომს სიღრმისეულ აქტუალობას ანიჭებს. ტრავმა, თავისი სხვადასხვა ვარიაციით, არის ისტორიული წარსულისა და თანამედროვე დროის ტრაგიკული მოვლენების ბუნებრივი შედეგი, როგორიცაა ომი, გენოციდი, რევოლუცია, ოკუპაცია, კატასტროფა, სტიქიური უბედურება და ა.შ. კონკრეტული მწერლების მხატვრული ნაწარმოებების ანალიზით ვეცადეთ გაგვეგო კონფლიქტის უფრო ღრმა, ადამიანური მხარე და მისი

გავლენა როგორც ინდივიდებზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე.

სამივე ავტორის ნაწარმოებები გვთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობას, შევხედოთ კონფლიქტის ეპიცენტრში მყოფი ადამიანების ცხოვრებას, გავიგოთ მათი განცდები, იმედები და მათი შინაგანი სამყარო[97] (ალექსანდერი, 2015:96).

ზემოაღნიშნული ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზი საშუალებას მოგვცემს, ლიტერატურული ხერხების მეშვეობით, უკეთ გავიაზროთ კონფლიქტის კომპლექსური ბუნება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ემპათიის გაღრმავებას და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიებას.

მეთოდი

კვლევაში გამოყენებულია კომბინირებული მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც აერთიანებს ლიტერატურულ ანალიზს, შედარებით მეთოდს და კონტექსტუალურ კვლევას.[98] მისი მიზანია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ასახვა სამ ლიტერატურულ ნაწარმოებში: **აქრამ აილისლის „ქვის სიზმრები“, გიუნელ მოვლუდის „ბანაკი“ და ნარინე აბგარიანის „განაგრძე ცხოვრება“.** აღნიშნული ნაწარმოებები სიმბოლოებისა და მეტაფორების საშუალებით ხაზს უსვამენ ომის სირთულეებსა და ადამიანურ დრამებს.

1. ტექსტების შერჩევა და მომზადება: სამივე ავტორის ნაწარმოებიდან ორიგინალი ტექსტების მოძიება, რომელიც ეხება ომის თემატიკას. (ქართულ ან ინგლისურ ენაზე).

2. ნარატიული ტექნიკების ანალიზი: ავტორების მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხების შესწავლა - პერსონაჟების განვითარებისა და თხრობის სტილის ანალიზი.

---

[97]https://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/cultural_trauma_and_collect.identity.pdf

[98]http://css.ge/wpcontent/uploads/Tsuladze_Sociologiuri_Kvlevis_Tvisebrivi_Metodebi.pdf

3. შედარებითი ანალიზი: სამივე ნაწარმოების შედარება თემატური, სტილისტური და იდეოლოგიური თვალსაზრისით; მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიკაცია.

5. კონტექსტუალური ანალიზი: ნაწარმოებების ისტორიული, კულტურული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინება;

6. ლიტერატურული ხერხების ანალიზი: ავტორების მიერ გამოყენებული ლიტერტურული ხერხები და სტისლისტური საშუალებები, რომელიც გადმოსცემს ომის შემდგომ რეალობას;

7. ინტერდისციპლინარული მიდგომა: კვლევაში გამოყენებულია საკითხები დისციპლინებიდან, როგორიცაა ფსიქოლოგია (ტრავმის თეორია), რომელიც იძლევა საშუალებას ლიტერატურული ტექსტების სიღრმისეული ანალიზის კეთებას;

8. ეთიკური საკითხები: მგრძნობიარე თემების გათვალისწინება ანალიზის პროცესში; ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.

ეს მეთოდოლოგიური ჩარჩო უზრუნველყოფს სისტემატურ მიდგომას ნაწარმოებების ანალიზისადმი და საშუალებას იძლევა მეტაფორების და სიმბოლოების მეშვეობით გამოვლინდეს, ომის შემდგომი მწარე რეალობა და გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, თუ რა როლს თამაშობს ლიტერატურა კონფლიქტის და ომის დაძლევის, გააზრების საკითხებში.

შედეგები

ნარინე აბგარიანის, აქრამ აილისლის და გიუნელ მოვლუდის ნაწარმოებებში კვლევის შედეგად გამოვლინდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, სადაც აღწერილია ომის შემდგომი სამყარო, ტრავმა, პოსტტრამვა, მწუხარება, ცრემლები, მოგონებები იმ დღეებს, როდესაც ყველა ჯერ კიდევ ერთად ბედნიერია. აღნიშნული მწერლების ნაწარმოებები ცხოვრებისეული სარკეა,

რომელიც ასახავს ომის კატასტროფულ ჭეშმარიტებას და **შედეგად:**

ტრავმის რეპრეზენტაცია: სადაც ავტორები იყენებენ მეტ-აფორულ ენას ტრავმის გადმოსაცემად მაგალითად, ნარინე აბგარიანის რომანში „განაგრძე ცხოვრება“ გამოყენებულია მეტ-ფორა „სიცოცხლისა და სიკვდილის გატეხილი ხაზებით გატეხ-ილი ხელისგული“ სადაც წარმოდგენილია - „სიცოცხლისა და სიკვდილის გატეხილი ხაზები გატეხილი პალმის მსგავსად“[99].

მეხსიერების როლი: წარმოდგენილია, როგორც ორმხ-რივი ხმალი - ერთი მხრივ ის ინახავს ტრავმულ გამოცდილებას, მეორე მხრივ კი ეხმარება პერსონაჟებს იდენტობის შენარჩუ-ნებაში. აბგარიანის პერსონაჟები ხშირად იყენებენ ნოსტალგიის ცნებებს, ხოლო აილისლის ნაწარმოებში კოლექტიური მეხს-იერება ასოცირდება კონფლიქტთან;

იდენტობის ტრანსფორმაცია: გიუნელ მოვლუდის პერს-ონაჟები ხშირად განიცდიან იდენტობის კრიზისს, რაც გამოწვე-ულია მათი შინაგანი სამყაროს რღვევით, აბგარიანის პერსო-ნაჟების იდენტობა მჭიდრო კავშირშია კულტურასთან, რომლის დაკარგვა იწვევს ეგზისტენციალურ კრიზისს, ხოლო ალილის აჩვენებს, როგორ ცვლის ომი ადამიანების თვითაღქმას და მათ ადგილს საზოგადოებაში;

რეკონსტრუქცია და შერიგება: სამივე ავტორი ეხება რეკ-ონსტრუქციის საკითხს, თუმცა განსხვავებული აქცენტებით. მაგ-ალითად, აბგარიანი ყურადღებას ამახვილებს კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაზე, აილისლი უფრო სკეპტიკურად უდგება შერიგების საკითხს და აჩვენებს მის სირთულეებს, გიუნელ მოვლუდი ხაზს უსმევს პირად ტრანსფორმაციას და მის საფუძვლებს;

ენობრივი და სტილისტური თავისებურებები: აბგარიანი ხშირად იყენებს პოეტურ ენას და სიმბოლიზმს ომის შემდგომი

---

[99] Ленивец А. Вкус кислых незрелых яблок ელ,რესურსი: https://znamlit.ru/publication.php?id=70 41 (გადაამოწმებულია 10.12 2024)

რეალობის გადმოსაცემად, აილისლი ირჩევს რეალისტურ სტილს, ხშირად იყენებს დიალოგებს კონფლიქტის პერსპექტივების წარმოსაჩენად, ხოლო მოვლუდის სტილი გამოირჩევა ფრაგმენტულობით, რომელიც აღწერს პოსტ-საბჭოთა რეალობას;

ლიტერატურის როლი: კვლევამ აჩვენა, რომ სამივე ავტორი ლიტერატურას განიხილავს, როგორც კოლექტიური ტრავმის დაძლევის საშუალებას, მათი ნაწარმოებები ქმნიან სივრცეს დიალოგისთვის, სადაც შესძლებელია რთული და მტკივნეული საკითხების განხილვა;

კვლევის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი სმივე ავტორთან დაკავშირებით:

1. თემატური მსგავსებები:

სამივე ნაწარმოებში გამოიკვეთა საერთო თემები: სამივე ავტორთან დრო წარმოდგენილია არაწრფივად, რომელიც ნიშნავს ტრავმის გავლენასმეხსიერებასა და მის აღქმაზე.

- აბგარიანი ხშირად იყენებს რეტროსპექტივებს, რათა აჩვენოს წარსულის გავლენა აწმყოზე;
- აილისლის პერსონაჟები ხშირად ხშირად „ჩარჩენილი“ არიან წარსულში რომელიც ხელს უშლით მომვლისკენ სვლაში;
- მოვლუდთან დრო ხშირად ციკლურია, რომელიც ასახავს ისტორიის გამეორებას;

აილისლის „ქვის სიზმრები", ნარინე აბგარიანის „განაგრძე ცხოვრება“ და გიუნელ მოვლუდის „ბანაკი“ - მიხედვით, ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მრავალმხრივ და კომპლექსურ ხედვას ომის შემდგომი სამყაროს შესახებ.

აილისლის „ქვის სიზმრები" - ა. აილისლი უფრო მეტად ფოკუსირდება მამაკაცების გამოცდილებაზე, განსაკუთრებით მათ მებრძოლ ხასიათზე და იდენტობის შენარჩუნების საკითხებზე;

ნარინე აბგარიანის „განაგრძე ცხოვრება“ - განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალების გამოცდილებას, ომის შემდგომ პერიოდში. მისი პერსონაჟი ქალები ხშირად წარმოდგენილნი არიან როგორც ოჯახისა და საზოგადოების მთავარ საყრდენად;

გიუნელ მოვლუდის „ბანაკი" - აქცენტს აკეთებს უფრო ბალანსირებულ ხედვაზე, სადაც ქალი და მამაკაცი თანაბრად ებრძვიან ახალ რეალობას შემდგომი ადაპტაციისთვის;

2. პერსპექტივების მრავალფეროვნება:

«Каменные сны» („ქვის სიზმრები" (აზერბაიჯანული: Daş yuxular) არის აზერბაიჯანელი მწერლის აკრამ აილისლის რექ-ვიემური რომანი, რომელიც ეძღვნება სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტს. რომანში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ავტო-რის მშობლიური სოფლის - აილისის ისტორიას ნახიჩევანის მხარეში, რომლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სომხები იყვ-ნენ. რომანი ეძღვნება მწერლის თანამემამულეების ხსოვნას, რომლებმაც დატოვეს უდიდესსი ტკივილი მის გულში 1919 წლის ხოცვა- ჟლეტის დროს. რომაში სომხები მსხვერპლად არიან წარმოჩენილნი და ძირეულად ეწინააღმდეგება ოფიციალურ პროპაგანდას, სადაც სომხებს აგრესორებად და დამპყრობლებად მოიხსენიებენ. რომანს მწვავე უარყოფა მოჰყვა აზერბაიჯანში, სადაც მწერალს ადანაშაულებდნენ სომხების მიმართ სიმპათიაში და აკრიტიკებდნენ აზერბაიჯანულ მედიას, მწერალთა კავშირს (რომლის წევრიც აილისლი 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო)[100]. **თავად მწერალმა კი რომანის დაწერის მიზეზი შემდ-ეგნაირად განმარტა:**

გულწრფელად რომ გითხრათ, ამ ნამუშევრით მინდოდა მესიჯი გამეგზავნა სომხებისთვის და, პირველ რიგში, მთიან

---

[100] Анна Козырева. Приснится же такое. Азербайджанского писателя обвинили в симпатии к армянам. lenta.ru (5 февраля 2013). Дата обращения: 6 февраля 2013. Архивировано 12 февраля 2013 года.

Тищенко Михаил. «Смерть Акраму!»: В Азербайджане сожгли книги опального писателя. lenta.ru (11 апреля 2013). Архивировано 2 сентября 2013 года.

ყარაბაღში მცხოვრები ჩვენი ეროვნების სომეხი მოქალაქეებისთვის.

„მინდოდა მათთვის მეთქვა, რომ ჩვენ არ დაგვიწყებია ბოროტება, რაც მათ წინააღმდეგ ჩავიდინეთ. დიახ, ჩვენ ჩავიდინეთ ეს ბოროტება. მაგრამ მათ იგივე გააკეთეს. და ამ ყველაფრის შესახებ, მათ შორის ხოჯალის, სომეხმა მწერლებმაც უნდა თქვან. მინდა ხაზი გავუსვა, რომ თუ სომხები განაგრძობენ მთიან ყარაბაღში ცხოვრებას, მაშინ ისინი არ უნდა შევაშინოთ. მე მესიჯი გავუგზავნე სომხებს, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის და ჩვენ შეგვიძლია მშვიდობიანად თანაცხოვრება“ [101].

ნარინე აბგარიანის შემოქმედება „განაგრძე ცხოვრების“ მიხედვით: ნარინე აბგარიანი სომხური წარმოშობის რუსულენოვანი მწერალია. დაიბადა სომხეთში, 1971 წლის 14 იანვარს სასაზღვრო ქალაქ ბერდში. მწერლის შემთხვევაში ომი და მიღებული ტრავმა მისი პირადი ტრაგედიაა. კრებულის ავტორს სურდა ჩაეწერა და შეენარჩუნებინა ჩვეულებრივი ადამიანების ბედი. ომის შედეგების თემა მთავარია კრებულში **„განაგრძე ცხოვრება",** თუმცა პირდაპირ არ წერია რომ ომზეა საუბარი. **ფრაზა „ყარაბაღის ომი“** ტექსტში არ არის. კრებული ფორმალურად, შედგება სხვადასხვა ჟანრის პროზაული ტექსტებისგან ცალკე სათაურებით. როგორც ზემოთ ვღნიშნე თითოეული ტექსტის სათაურს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ნ. აბგარიანის კრებულში „განაგრძე ცხოვრება“ სახლის ტრადიციული გამოსახულება განადგურებულია. მაგალითად, ტექსტი „მარტოობა“, სადაც მთავარი გმირი ბავშვობის სახლში გარდაცვლილ დედას აღმოაჩენს. ყველაფერი, რაც ოდესღაც კომფორტს და განსაკუთრებულ საოჯახო ატმოსფეროს ქმნიდა, დანგრეული და ჭურვივით გაშავებული აღმოჩნდა. გაუფასურდა თვით ცხოვრებაც, რომლის სიმბოლოც დედა იყო (ქალი, როგორც გამრავლების ტრადიციული სიმბოლო, კერის მომვლელი).

[101] ელ.რესურსი: https://theanalyticon.com/ru/новости/акрам-айлисли-если-бы-я-был-армянино/ (გადამოწმებულის 10.14..2024)

თუმცა, საყურადღებოა, რომ ნივთების გროვა რომელიც დაემხო ქალს ა ნარინე ბგარიანი უწოდებს „სარკოფაგს" - წმინდა ნაგებობას, რომელიც იცავს გარდაცვლილის სულს ბოროტებისგან და მიცვალებულისადმი ხარკის სიმბოლოა. ანუ მწერალი ცდილობს შეინარჩუნოს ომისგან უგულებელყოფილი საგნების სულიერი ღირებულება.

სათაურებს **„კოლგოტები“, „კვანძი“, „ბაქლავა“, „მაქმანი“, „გულპა“, „ჩექმები“** - სათავეში უდევს იმ საგნების სახელებს, რომლებიც ამ მოთხრობების გმირებისთვის არის გამომწვევი ნივთები - რაც იწვევს პოსტტრავმული სტრესული აშლილობის მქონე ადამიანში უეცრად განიცადოს ფსიქოლოგიური ტრავმა და მძიმე უარყოფითი ემოციები. „მარტოობა“, „მოლოდინი“, „არჩევანი“, „დუმილი“, „დანაშაული“, „ხსნა“ - ტრავმული მოვლენების შედეგები.

ამრიგად, ომის შესახებ წიგნების ზოგადი ფონიდან „განაგრძე ცხოვრება“ გამოირჩევა უნიკალური ინტონაციით. აბგარიანი წერს იმისთვის, რომ ბოლოს დასვას წერტილი ამ საშინელ ისტორიაში და განაგრძოს გზა მომვლისკენ.

გიუნელ მოვლუდის „ბანაკი“: [102] პოეტი დაიბადა 1981 წელს ჯაბრაილის რაიონის სოფელ მეჰდილში. მოვლუდი გიუნელ იმანოვას სამწერლო ფსევდონიმია. 12 წლის ასაკში გიუნელი იძულებული გახდა, ოჯახთან ერთად, დაეტოვებინა მშობლიური ქვეყანა ყარაბაღის კონფლიქტის გამო. წიგნი „გოგონა ყარაბაღიდან“, აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და მწერლის გუნელ მოვლუდის ავტობიოგრაფიული რომანია, ის თავის წიგნში „ბანაკი“ (Düşərgə), სათაურით „გოგონა ყარაბაღიდან“, შეგნებულად არ ეხება ომის თემას, თუმცა იგი ეხება თემებს,

---

[102] Девочка из Карабаха» — роман Гюнель Мовлуд о жизни беженцев, патриархальном Азербайджане и сильных женщинах, ელ.რესური: https://www.rfi.fr/ru/кавказ/20210308-девочка-из-карабаха-р оман-гюнель-мовлуд-беженцы-война-азербайджан-женщины (გადამოწმებულია 23.09.2024)

Гюнель Мовлуд, «Девочка из Карабаха».

რომლებიც ტაბუდადებულია კონსერვატიულ აზერბაიჯანულ საზოგადოებაში. მისი წიგნი არის მოთხრობა იმ მორალურ დეგრადაციაზე, რასაც არაადამიანური ცხოვრების პირობები იწვევს. რომანში საუბარია, თუ როგორ უნდა შეეგუო ბანაკის „გალიას“ [103] სადაც მწერალს აღწერილი აქვს ყრაბაღის პირველი ომის შემდგომ დევნილებისთვის გაშლილ ე.წ კარვების ქალაქში მის მიერ განვლილი ხუთწლიანი ცხოვრება.

ამრიგად, მწერალს სურდა მკითხველს მეტი ინფორმაცია ჰქონოდა თუ რა ემართებათ ადამიანებს, რომლებიც ომის გამო ასეთ საშინელ პირობებში აღმოჩნდებიან. ყველას ესმის, რომ ომის დროს ადამიანები ლტოლვილები ხდებიან და ისინი სადმე არიან შესახლებული - **როგორ ხდება მათი დაბინავება, სად აბინავებენ** და **რამდენ ხანს გრძელდება ეს „დროებითი“ სიცოცხლე.** რომანი ომის სიდუხჭირის, არაადამიანური პირობების მსხვერპლთა შესახებაა დაწერილი.

3. ნარატიული ტექნიკები:

თხრობის პერსპექტივები - ნ. აბგარიანი მიმართავს პირველ პირში თხრობას, რაც საშუალებას აძლევს უფრო ახლოდან იგრძნოს პერსონაჟების განცდები, რომელიც ომის რეალობას მეტ ემოციურ დატვირთვას ანიჭებს.

ა. აილისლი უპირატესობას ანიჭებს, მესამე პირის ყოვლისმცოდნე მთხრობელს, რომელიც წარმოაჩენს კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს.

გ. მოვლუდი იყენებს ნარატიულ სტილს, რეალისტური სურათის შესაქმნელად, სადაც სხვადასხვა პერსონაჟთა მონაცვლეობით ჰყვება ამბავს.

---

[103] Севиль Гусейнова, ЖИЗНЬ В «КЛЕТКЕ»: ВОСПОМИНАНИЯ ДЕВОЧКИ ИЗ КАРАБАХА, ელ. რესურის: https://p-s-urban.cisr-berlin.org/zhizn-v-kletke-vospominaniya -devochki-iz-karabaha/ (გასამოწმებულია 20.05.2024)

ამრიგად ზემოაღნიშნული ნარატიული ტექნიკები ცხადყოფს, რომ ნ. აბგარიანი, ა. აილისლი და გ. მოვლუდი ქმნიან უნიკალურ სამყაროს, სადაც აღწერერილია ომის მძიმე რეალობა.

4. იდენტობის საკითხები: იდენტობის საკითხი ცენტრლურია სამივე ავტორის შემოქმედებაში.

ნ. აბგარიანის „განაგრძე ცხოვრება“ - იდენტობა წარმოდგენილია, როგორც მდგრადობის და გადარჩენის სიმბოლოდ, რომლიც ეყრდნობა კულტურას და ტრადიციას.

ა. აილისილი „ქვის სიზმრები“ - ავტორი კრიტიკულად უდგება ნაციონალურ იდენტობას. მის ნაწარმოებში ნციონალიზმი წამოდგენილია, როგორც კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

გ. მოვლუდის „ბანაკი“ - იდენტობა ხშირდ წინააღმდეგობაში მოდის საბჭოთა ათეისტურ წარსულთან, მისთვის ენა და რწმენა არის იდენტობის უმთავრესი ასპექტი .

5. სოციალური გავლენა:

ა. აილისლი „ქვის სიზმრები“ - გვიჩვენებს, თუ როგორ ანგრევს ომი არსებულ სოციალურ წესრიგს, ქმნის ახალ ქაოსურ რეალობას და ირღვევა ძლაუფლების ბალანსი საზოგადოებაში. ავტორი კრიტიკულად უდგება რელიგიის პოლიტიზაციას და მის როლს კონფლიქტში.

ნ. აბგარიანის „განაგრძე ცხოვრება“ - მიხედვით ოჯახი ხშირ შემთხვევებში არის ცენტრარული საკითხი, ის ხაზს უსმევს კულტურულ ტრადიეციებს და მის შენარჩუნებას.

გ. მოვლუდის „ბანაკი“ - ასახავს პოსტსაბჭოთა საზოგადოების მძიმე რეალობას, სადაც ძველი სოცილური ნორმები უპირისპირდება ახალ რეალობას.

6. უნივერსალური გზავნილები:

სამივე ავტორი ერთხმად ხაზს უსვამს **„სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხს“**, რომელიც აღწერს ომის გამანადგურებელ ზეგავლენას ადამიანების ცხოვრებაზე, რადგან ომი ხშირად ანგრევს არა მხოლოდ ფიზიკურ გარემოს, არამედ ფსიქოლოგიურ და ემოციურ სტაბილურობას. ავტორები თავიანთი ნაწარმოებების მეშვეობით ცდილობენ გამოავლინონ ომის შემდგომი მწარე რეალობა და ტრაგიკული შედეგები. მათი ნარატივები გვთავაზობს განსხვავებულ პერსპექტივას, მაგრამ გააჩნიათ საერთო საერთო თემა სადაც საუბრობენ ომიზედა მის უარყოფითი შედეგებზე. სამი ავტორის მხატვრული ტექსტების განხილვის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი საერთო თემები:

- **ბუნების როლი და სიმბოლიზმი:** ხშირად ამ ავტორების ნაწარმოებში ბუნებ გამოყენებულია, როგორც მეტაფორა ან სიმბოლო. მაგალითად დაზიანებული ლანდშაფტებში - მოისაზრება საზოგადოების ტრავმა, ხოლო აყვავებული ბაღები - იმედს და დაქცეულის აღდენას.
- **კუკტურული იდენტობის დაკარგვა:** კონფლიქტის შემდეგ ჩნდება საზოგადებაში კითხვა - ვინ ვართ ჩვენთ და სად არის ჩვენი ადგილი თანამედროვე სამყაროში.
- **ჰუმანიზმი კონფლიქტის მიღმა:** ავტორები წარმოაჩენენ ინდივიდების ჰუმანურობას და თანაგრძნობას პოლიტიკური და ეთნიკური დაპირისპირების მიუხედავად.
- **შერიგების პერსპექტივები:** სამივე ავტორი თავის ნაწარმოებებში ეხებიან შერიგების თემას, თუმცა შერიგების პროცსი არაა მარტივ საკითხი. შერიგება მოითხოვს დიდ ძალსხმევას, ემპათიას და კონფლიქტის ორივე მხარის მიერ წარსულის ტკივილის აღიარებას.
- **ქალის როლი:** ნაწარმოებში ავტორები აქცენტს აკეთებენ ქალების გამოცდილებაზე ომის და ომის შემდგომ პერიოდზე. **გ. მოვლუდის „ბანკი“**- ხშირად ვხვდებით ქალ პერსონაჟებს, რომლებიც ცდილობენ გადარჩენას და ოჯახების შენარჩუნებას კონფლიქტის პორობებში.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სამივე ავტორის ტექსტებში სიცოცხლე და სიკვდილი ხშირად იკვეთება, როგორც მწარე რეალობა. მიუხედავად ამ ყველაფრისა რწმენა და ადამიანობა რჩება მთავარ ძალად და სიმბოლოდ ომის შედეგად გატეხილ სამყაროში.

ამრიგად, სამივე ნაწარმოებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის კომპლექსური ბუნების გაგებასა და მისი ადამიანური განზომილების წარმოჩენაში.

დისკუსია

აქრამ აილისილის, ნარინე აბგარიანის და გიუნელ მოვლუდის ნაწარმოებების თემა მრავალწახნაგოვანია, მათი თხრობის სტილი და ნარატიული ფორმები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა გააჩნიათ საერთო თემატიკა იდენტობის, მეხსიერებისა და შერიგების თემებზე. მთი გმირები, მუდმივად ეძებენ თავიანთ ადგილს დროსა და სივრცეში, სადაც გატეხილი პიროვნებები არიან, რომლებიც ცდილობენ თავიანთი სულის გატეხილი ფრაგმენტები ერთმანეთს დაუკავშირონ და საერთო ძალისხმევით შექმნან დარჩენილი ნანგრევებიდანი ახალი სიცოცხლე და **გატეხილი ხელის გულის** სიმბოლოს მსგავსად აღადგინონ **გატეხილი სიცოცხლის ხაზები** და ნახონ გამოსავალი ახალი რეალობის შესაქმნელად. სამივე ავტორი ხაზს უსვამს: ომის შემდგომი სამყაროს ტრაგიკულ რეალობას, მის გავლენას ორივე ქვეყნის საზოგადოებაზე და მათ შედეგებს:

ნარატიული ტექნიკები: როგორ იყენებენ ავტორები სხვადასხვა თხრობით ხერხებს ომის შემდგომი რეალობის გადმოსაცემად მაგალითად,

აქრამ აილისლი - „ქვის სიზმრები“ რომანი-რეკვიემი მიჰყვება მისი გმირის, „კიხოტიკოსი“ აზერბაიჯანელი მსახიობის სადაი სადიქლის ბედს ბაქოში „შავი იანვრის“ წინა დღეებში (1990 წლის იანვარი). აქრამ აილისლის **„ქვის სიზმრები“** ეროვნული დანაშაულის მტკივნეული პათოსით სავსე ნოველაა. ეს

რომანი არის ერთგვარი გზავნილი ყარაბაღში მცხოვრები სომხებისთვის," მის ტექსტებში ვხვდებით მორალურ და ეთიკურ დილემებს, რომლებიც ომთანაა დაკავშირებული. რომანის **«Каменные сны» („ქვის სიზმრები")** ძირითადი ნაწილი კომაში მყოფი სადიგლის ოცნებებისა და მოგონებებისგან შედგება.

გიუნელ მოვლუდი აზერბაიჯანელი მწერალი და ჟურნალისტი რომელიც დევნილი გახდა ყარაბაღის პირველი ომის შედეგად. ნარინე აბგარიანის მსგავსად გიუნელ მოვლუდიც აღწერს 12 წლის ასაკში განცდილ და გადატანილ ტკივილს, ტანჯვას, რომელმაც თავისი დაღი დაასვა მის ცხოვრებას. გოგონა მძაფრად განიცდიდა „ბრეზენტის, ლერწმისა და ტალახისაგან დასვრილ ქოხმახებში გატარებულ ხუთ წელს და ჯოჯოხეთურ ყოფას. მწერალი ამ ამბის წერისას ფიქრობდა და ბოლომდე ვერ გადაეწყვიტა, იქნებ იმ ადამიანებს, ვინც ამ ომის მომსწრე გახდა, სურდათ ყოველივე განვლილი იმ საშინელების დავიწყება და მას კი ამ ამბის აღწერით ხელი შეეშალა მათთვის „სამამრცხვინო წლების" დავიწყებაში. თავის რომანში ეხება თემებს, რომლებიც ტაბუდადებულია კონსერვატიულ აზერბაიჯანულ საზოგადოებაში.

ნარინე აბგარიანი - წერს, სიცოცხლე სიკვდილზე სამართლიანია და სწორედ აქ დევს მისი ურღვევი სიმართლე. თქვენ უნდა გჯეროდეთ ამის, რომ გააგრძელოთ ცხოვრება". წიგნის სათაური გახდა **ფრაზა „განაგრძე ცხოვრება".** ომში ცხოვრების პირადი გამოცდილების მქონე და ამგვარი ცხოვრების სირთულეების გაცნობიერებით, კრებულის ავტორს წარმოეჩინა ჩვეულებრივი ადამიანების ბედი. ნარინე აბგარიანი დელიკატურად, ეთიკურად და სწორად ეხმაურება სენსიტიურ საკითხებს, ტაქტიანად აგებს ოპოზიციას „ჩვენ/მათ", რაც განსხვავებულია იმ ადამიანებისთვის, ვინც ადრე საკმაოდ კარგად ერწყმოდა თითოეულ მათგანს. **მოკლე პროზის კრებული „განაგრძე ცხოვრება"** საინტერესო მხატვრული ფენომენია თანამედროვე ლიტერატურულ დისკურსში.

- **კულტურული კონტექსტი:** მიუხედავად იმისა, რომ ავტორები სხვადასხვა ეროვნებას მიეკუთვნებიან მათი მთავარი მიზეზი, რომელმაც ისინი აიძულა ამ რთულ თემაზე ესაუბრთ, არის პროვოცირებული ეთნიკური კონფლიქტების ტრაგიზმით დაზარალებული საზოგადოება. სამივე ავტორების შემოქმედება მოიცავს ფართო სპექტრს. მათი მიზანია აღადგინონ ომის სირთულეების ფონზე ადმიანური ურთერთობები, რომელიც სამომავლოდ ამიანური ბუნების გამძლეობის, სიმტკიცის სიმბოლოდ იქცევა.
- **შერიგებისა და აღდგენის თემები** - ავტორები გვთავაზობენ უნიკალურ შესაძლებლობას, გავიხედოთ კონფლიქტის მიღმა და დავინახოთ საერთო თემატიკა, რომელიც შემდგომში შეიძლება გახდეს საფუძველი მომავალი დიალოგის, სართო ენის გამონახვის და შერიგების.
- **სიმბოლიზმი და მეტაფორები** - ავტორები აქტიურად იყენებენ სიმბოლიზმებს და მეტაფორებს ეს ლიტერატურული ხერხები საშუალებას აძლევს მწერლებს, აღწერონ საკუთარი მიწიდან, სახლიდან, შეჩვეული ყოფიდან გამოგდებული, ყველანაირი საკუთრების დამკარგავი ადამიანების ბედი, ამგვარ რთულ ვითარებაში აღმოცენებული იერარქია, დომინანტი ინდივიდებს მიერ დადგენილი კანონები, ექსტრემალური პირობებისაგან წარმოქმნილი შემთხვევები და ურთიერთობები.

სიმბოლიზმი - დანგრეული სახლები, როგორც სიმბოლო, ხშირად ჩნდება ომის შემდგომ ნარატივებში და ასახავს არა მხოლოდ ფიზიკურ ნგრევას, არამედ სახლი ტრადიციულად არის „სამყაროს მოდელი, სამშობლოს გამოსახულება, რომელიც ასრულებს დამცავ, წმინდა, ესთეტიკურ, სოციალურ და რიტუალურ ფუნქციას“. მრავალ კულტურაში ეს არის სიმბოლო, რომელიც „ასახავს ადამიანის სიმბოლურ კავშირს კოსმოსთან“ და იყო ხალხური კოლექტიური ფასეულობების განსახიერება: ოჯახის კეთილდღეობა, უსაფრთხოება და სიმდიდრე. **კრებულში „განაგრძე ცხოვრება“** სახლის ტრადიციული გამოსახულება განადგ-

ურებულია. მაგალითად, ტექსტი „მარტოობა“, სადაც მთავარი გმირი ბავშვობის სახლში გარდაცვლილ დედას აღმოაჩენს. ყველაფერი, რაც ოდესღაც კომფორტს და განსაკუთრებულ საოჯახო ატმოსფეროს ქმნიდა, დანგრეული და ჭურვივით გაშავებული აღმოჩნდა.

ამრიგად, მწერლები სიმბოლოების და მეტაფორების გამოყენებით გადმოგვცემენ ომის მწარე რეალობას, ტრაგიზმს, შეუქცევად ტრავმებს და გამოყენებული სიმბოლოების მეშვეობით აცოცხლებენ იმედის ნაპერწკალს, რომელიც აძლევს მათ შესაძლებლობას ნგრევის შედეგად დაქცეულის თავიდან აღდგენას.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხატვრულ ლიტერატურაში ტრავმული მეხსიერების პრობლემის და ომის ზეგავლენის შესასწავლად. სამივე ავტორის შემოქმედება ღირებული ობიექტია ტრავმის შესასწავლად.

დასკვნა

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ლიტერატურული რეპრეზენტაციის კვლევამ **აქრამ აილ-ისლის, გიუნელ მოვლუდის და ნარინე აბგარიანის** - ნაწარმოებებში გამოავლინა კონფლიქტის კომპლექსური ბუნება და მისი მრავალმხრივი გავლენა საზოგადოებაზე.

ზემოთ აღნიშნულმა ავტორებმა მთელი სიცხადითა და სიზუსტით გადმოგვცეს ყველა ის მოვლენა და პრობლემა, რომლებიც მათი ცხოვრების ურთულეს პერიოდს დაემთხვა, საუბარია **„სიცოცხლისა და სიკვდილის გატეხილი ხაზებით გატეხილი ხელისგულზე“** - რომელიც ავტორებს გამოყენებული აქვთ, როგორც მეტაფორა და აღწერენ ომის რთულ ვითრებას, განადგურებულ საზოგადოებას, რომლებიც არ კარგავენ იმედს მიუხედავად ნაიარევი ხელისგულისა, მათ მაინც სჯერავთ, რომ სწორედ ამ ნაიარევმა შესაძლოა მისცეს დასაბამი სამყაროს აღორძინებას. ავტორების ცხოვრებიდან ფაქტების გაანალიზებისას გამოიკვეთა ომის შემდგომი სამყაროს კომპლექსურ და რეალ-

ისტურ სურათი, სადაც ყველა პერსონაჟს გააჩნია თავისი უნიკალური ისტორია, ხედვა, რომლებიც გასათვალისწინებელია გაანალიზებისას.

მრავალმხრივი პერსპექტივა: სამი სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებების ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვენახა კონფლიქტი სხვადასხვა კუთხიდან. ეს მრავალფეროვანი ხედვა ხელს უწყობს არა მხოლოდ ომის შედეგების განხილვას, არამედ გვაძლევს საშუალებას უკეთესი მომავლის შესაქმნელად, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურას. ეს მრავალფეროვანი ხედვა ხელს უწყობს კონფლიქტის უფრო სრულყოფილ გაგებასა და ემპათიის გაღრმავებას ყველა მხარის მიმართ.

❖ **საერთო თემები:** მიუხედავად განსხვავებული პერსპექტივებისა, ყველა ნაწარმოებში გამოიკვეთა საერთო თემები - სამივე ავტორის ნაწარმოებში ჩანს, თუ როგორ შეიძლება ტრამვული გამოცდილება გარდაიქმნას მხატვრულ ნარატივად.

❖ **ნარინე აბგარიანი, აქრამ აილისლი და გიუნელ მოვლუდი** - ცდილობენ წარმოადგინონ კონფლიქტის სხვადახვა მხარე. ისინი ქმნიან პერსონაჟებს, რომლებიც მკითხველს აძლევს საშუალებას იყოს ომის ეპიცენტრის თანამონაწილე და შეიგრძნოს თითოეული ავტორის, თითოეული პრსონჟის მრავალფეროვანი ბუნება.

❖ **სივრცის პოეტიკა:** ომის შემდგომი სივრცე მათ ნაწარმოებში წარმოდგენილია როგორც:

- ფიზიკური რეალობა (დანგრეული შენბები, გაპარტახებული ბაღები)
- მენტალური ლანდშაფტები (მოგონებების და ოცნებების სივრცე)
- მეტაფორული სამყარო (სადაც წარსული და მომავალი ერწყმის ერთმანეთს)

❖ **ნარატიული სტრატეგიები:** მათი თხრობის ტექნიკა მოიცავს:

- მრავალხმიანობას;

- დროში გადასვლებს;
- სიმბოლურ ენას;
- დოკუმენტურ და მხატვრულ ელემენტებს

❖ **გენდერული პერსპექტივა:** განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ ნაწარმოების ავტორები წარმოჩენენ როგორც მდედრობით ასევე მამრობით სქესის წარმომადგენლების გამოცდილებას ომიანობის ჟამს და მათ შედგებს, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავინახოთ როგორ განსხვავებულად აისახება კონფლიქტი სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებზე.

❖ **დროითი პერსპექტივა:** ავტორები ხშირად იყენებენ დროში გადასვლის ტექნიკას, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მოვლენები როგორც წარსულის, ისე აწყმოს პერსპექტივიდან.

❖ **გეგოგრაფიული მრავალფეროვნება:** ნაწარმოებში ასახულია როგორც ქალაქის, ისე სოფლის ცხოვრება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ განსხვავებულად აისახება კონფლიქტი სხვადასხვა გარემოში.

❖ **მომავლის ხედვა:** ავტორები აღწერენ სხვადსახვა თაობის გამოცდილებას - მოხუცებს, რომლებიც ინახავენ წარსულს, შუა ხნის ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ აღადგინონ ახალი ცხოვრება და ახალგაზრდებს, რომლებიც იზრდებიან კონფლიქტის შემდგომ სამყაროში სადაც ავტორები გვთავაზობენ იმედიან პერპექტივას:

- აღდგენის შესაძლებლობა;
- თაობათა შორის დიალოგი;
- კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება;

საბოლოო ჯამში, „სიცოცხლისა და სიკვდილის გატეხილი ხაზებით გატეხილი ხელისგული“ წარმოადგენს არა მხოლოდ ტრავმის მეტაფორას, არამედ გამოხატავს ადამიანის უნარს:

- გადალახოს სირთულეები;
- შეინარჩუნოს ღირსება;
- შექმნას მომავლის იმედი;

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ლიტერატურული ნაწარმოებები წარმოადგენენ არა მხოლოდ მხატვრულ ტექსტებს, არამედ მნიშვნელოვან კულტურულ დოკუმენტებს, ემოციურ - ინტელექტუალურ გზამკვლევს იმისათვის, თუ როგორ უნდა გავიაზროთ და გადავლახოთ კონფლიქტის შედეგები, როგორ შევინარჩუმოთ ჰუმანურობა, რომელიც გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, გავიხედოთ კონფლიქტის მიღმა და დავინახოთ საერთო ადამიანური გამოცდილება, რაც შეიძლება გახდეს საფუძველი მომავალი დიალოგისა და შერიგებისთვის.

ზემოთ ხსენებული რომანები არის მოწოდება, რომ ადამიანმა არ დაკარგოს სინდისი, პასუხისმგებლობა, მოვალეობა თუნდაც ყველაზე რთულ ვითარებაში. ინტელექტუალები, გამოჩენილი კულტურული მოღვაწეები არ უნდა იყვნენ გულგრილები იმ უსამართლობის მიმართ, რომელიც ხდება ქვეყანაში, რომელიმე ეროვნების ან ჯგუფის მიმართ. საზოგადოებამ ჯანსაღად, სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასოს ნებისმიერი მოვლენა ქვეყნის ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა :

მოვლუდი, გიუნელ. (2020). *ბანაკი,* გამომცემლობა „ლიტოდისეა“, თბილისი.

აბგარიანი, ნარინე. (2018). *გაანაგრძე ცხოვრება,* გამომცემლობა, „AGT“, მოსკოვი.

აილისლი, აქრამ. (2003). *ქვის სიზმრები,* გამომცემლობა, „ინტელექტი“, თბილისი.

ელ. რესურსი: http://loveread.ec/read_book.php?id=72084&p=1

ელ. რესუსრსი: https://echo.msk.ru/programs/beseda /2707455-echo/ (25.09.2024).

ელ.რესურსი:https://ru.wikipedia.org/wiki/Каменные_сны, (25.09.2024).

Alexander, Jeffrey C – Toward a Theory of Cultural Trauma – University of California press, Berkley 2004.

Абгарян Н. Дальше жить. Москва : АСТ, 2018. 256.

Айерман Р. Социальная теория и травма / Р. Айерман // Социологическое обозрение. — Т. 12. — 2013. — № 1. — С. 125.

Казарян К., Исаев Г. Армяне и азербайджанцы залечивают психологические раны после войны. «Девочка из Карабаха» роман Гюнель Мовлуд о жизни беженцев, патриархальном Азербайджане и сильных женщинах, ელ. რესური: https: //www.rfi.fr/ru/кавказ/20210308-девочка-из-карабаха-роман-гюнель-мовлуд-беженцы-война-азербайджан-женщины (23.09.2024).

Севиль Гусейнова, ЖИЗНЬ В «КЛЕТКЕ»: ВОСПОМИНАНИЯ ДЕВОЧКИ ИЗ КАРАБАХА ელ. რესურის: https://p-s-urban.cisr-berlin.org/zhizn-v-kletke-vospominaniya- (25.09.2024).

Казарян К., Исаев Г. Армяне и азербайджанцы залечивают психологические раны после войны. ელ. რესურსი: https: // russian.eurasianet.org (23.09.2024).

Девочка из Карабаха» — роман Гюнель Мовлуд о жизни беженцев, патриархальном Азербайджане и сильных женщинах. ელ. რესური: https://www.rfi.fr/ru/кавказ /20210308/.

de Waal, Thomas.(2013). Black Garden: Armenia and Azerbaijan Through Peace and War. New York University Press.

Айлисли, Акрам.(2012). Каменные сны. Дружба Народов.

Abgaryan, Narine. (2020). Three Apples Fell from the Sky. Oneworld Publications.

Movlud, Gunel. (2018). The Camp. Azerbaijan Literature Magazine.

Gamaghelyan, Phil. "Rethinking the Nagorno-Karabakh Conflict: Identity, Politics, Scholarship." International Negotiation, vol. 15, no. 1, 2010, pp. 33-56.